სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 12318

ქ. თბილისი 13 . 05 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში `შემსყიდველი~, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ნინო ბერძულის სახით და მეორე მხრივ, შპს „ISSP Georgia" შემდგომში `მიმწოდებელი~, მისი დირექტორის არტემ მიხაილოვის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, სატრენინგო მომსახურების შესყიდვაზე (CPV80500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს გაუწიოს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 1600 (ათას ექვსასი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 სერვერული ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის გადაწყვეტილების Sistems Center 2012 Operations Manager დასანერგად შპს „ISSP Georgia" -ს მიერ დაგეგმილ ტრენინგზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ერთი თანამშრომლის ტრენინგ კურსის გავლა.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ადგილი და ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 16 მაისიდან 20 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. # 33 ა, პირველი სადარბაზო, მე-2 სართული, კომპანია „ISSP Georgia"

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 14.2. პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.3 მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მაღალი ხარისხით და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.2.2 უზრუნველყოს "მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.3 დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. `მიმწოდებელს~ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. `შემსყიდველს~ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.
10.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 0,001%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი.
14.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ოლეგ პრესნოვი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.
15.3. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 ივლისამდე.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (--- გვერდზე) და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან~, ხოლო ორი – `შემსყიდველთან~.

„შემსყიდველი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ს/კ – 211333957
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. #144.
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ – TRESGE22 (220101222)
200122900

ნინო ბერძული
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი“
შპს „ISSP Georgia“
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N33ა
ს/კ - 404955839
„თი ბი სი“ ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE81TB7018536020100010

არტემ მიხაილოვი
დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
გ. კაკუშაძე
მ. ჯანიაშვილი
ი. ქიტიაშვილი
ი. აბრამიშვილი
ი. გვასალია

შემსრულებელი: ნ. ბერუაშვილი ნ. ბერუაშვილი

დანართი 1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება _ ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი ___ _____ 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ----------
---

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ----------
(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2016 წლის --------- ---------- N --------- ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა ----------
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება, ანაზღაურებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	

ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„13“ „05“ 2016 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „ISSP Georgia”-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ნ. ბერძული

ი. ბიბილაშვილი

მ. ჯანიაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

ო. პრესნოვი

ნ. ბერუაშვილი